Erasmus+ მობილობა და პანდემია

კვლევითი პროექტის ავტორები:

თამარ ლორთქიფანიძე
ნინო ურუშაძე

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისი

2021 წელი

მოცემული ანგარიშში განხილულია თუ რა გავლენა იქონია კოვიდ-19-ის პანდემიამ საქართველოში, უმაღლეს საგნმანათლებლო დაწესებულებების მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების (ICM) მიმდინარეობაზე. 2016 წლიდან ICM პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით წელიწადში სულ მცირე ხუთ დაწესებულებაში ტარდება მონიტორინგი, თუმცა 2021 წელს Erasmus+ ეროვნულმა ოფისმა გადაწყვიტა, რამოდენიმე ფრაგმენტული მონიტორინგის ვიზიტის ნაცვლად პროგრამაში მონაწილე მაქსიმალური რაოდენობის დაწესებულებების გამოკითხვა, რაც პანდემიის გავლენისა და შედეგების სრული სურათის დანახვის შესაძლებლობას მოგვცემდა. ჯერ კიდევ 2020 წელს Erasmus+ ეროვნულმა ოფისმა მცირე მასშტაბის გამოკითხვა ჩაატარა რათა გაერკვია როგორ იმოქმედა პანდემიამ ICM პროგრამების განხორციელებაზე, თუმცა ამჯერად ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა და შეგვეჯამებინა უკანასკნელი სამი სასწავლო სემესტრის (2020-2021 წლებში) მიღებული გამოცდილება შემდეგი მიმართულებით: 1) პანდემიის გავლენა გაცვლით პროგრამებზე როგორც ინდივიდუალურ ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე; 2) უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების პასუხი ახალ გამოწვევებზე და 3) შეცვალა, გაამწვავა თუ შეამცირა პანდემიამ მანამდე არსებული პრობლემები, რომლებიც პროგრამების განცხორციელების კუთხით ფიქსირდებოდა.

გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო დედაქალაქისა და რეგიონების კერძო და სახელმწიფო, მონო თუ მულტიპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ICM პროგრამები ხორციელდება. 28-დან 24-მა უსდმ, რომელსაც პანდემიისის მიმდინარეობისას მოქმედი პროგრამები ჰქონდა, მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში.

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა საერთაშორისო ურთეირთოებების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე, პროგრამის ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და შესაბამისი კონკურსების ორგანიზებაზე.

ძირითადი მიდგენებები და დასკვნები

კოვიდ-19 პანდემიამ მობილობის პროექტების განხორციელების ვადები მნიშვნელოვნად შეცვალა. პანდემიამ ამ პროცესში თავისი კვალი, როგორც ინსტიტუციურ ასევე ინდივიდუალურ დონეზე დატოვა. ქართული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების უმრავლესობამ სხვადასხვა ტიპის დამხმარე ღონისძიება შესთავაზა საკუთარ ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალს, ასევე შეიმუშავა და დანერგა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალური მექანიზმები რათა ხელი შეეწყო ხარისხიანი დისტანციური სასწავლო გარემოს შექმნისათვის.

სტუდენტთა მობილობა მეტ-ნაკლებად მარტივად და წარმატებით გადაერთო online რეჟიმზე. ვირტუალურ მობილობასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა რაიმე განსაკუთრებული და სპეციფიკური პრობლემები. პანდემიამდე არსებული სირთულეები და პრობლემები, რომლებიც ფიზიკურ მობილობას ახლდა, კვლავ აქტუალურია და რიგ შემთხვევებში (ვიზა და სამგზავრო დოკუმენტები, საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხები და სტიპენდიის დაგვიანება) გართულებულიც კი.

უსდ-ების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმოადგენლების ინფორმაციით მნიშვნელოვნად შემცირდა ინტერესი ვირტულაური მობილობის მიმართ, ისევე როგორც

დაიკლო აპლიკაციისების რაოდენობამ. თუ გავისთვალისწინებთ, რომ გაცვლითი პროგრამების მთავარი იდეა განათლებასთან ერთად გამოცდილების მიღება და კულტურული და სოციალური უნარების განვითარებაა, რაც ვირტუალური მობილობის შემთხვევაში რთულად მისაღწევი ამოცანაა.

თუ სტუდენტური მობილობების განხორციელება ვირტულაურ რეჟიმში მეტწილად წარმატებით მოხერხდა, პერსონალის შემთხვევაში სურათი საპირისპიროა. პრობლემები განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის მობილობის ნაწილში გამოვლინდა. დაგეგმილი მობილობების უმრავლესობა გადავადდა 2021-2022 სასწავლო წლისათვის, რაც სხდასხვა საკითხებით იყო გამოწვეული. სირთულეს წარმოადგენდა მოწვეული პერსონალისათვის ვირტულაური ცხრილების მორგება და სალექციო საათების შეთავაზება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ქვეყნების უნივერსიტეტების გადაწყვეტილებით ვირტუალურ მობილობასთან დაკავშირებული ხარჯები არამიზნობრივად ჩაითვალა, რამაც საგრძნობლად შეამცირა ინტერესი ორივე მონაწილე მხარის მხრიდან. ასევე ეგრედწოდებული „job shadowing“ შესაძლებლობის არარსებობდა დისცანციური სწავლების პიროებებში. ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის თვალსაზრისით შესაძლებელი იყო ვირტუალური „staff weeks“ ორგანიზება, რაც აქტიურად იყო განოყენებული ქართული უნივერსიტეტების მხრიდანაც.

რეკომენდაციები

კითხვარის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა მთერი რიგი საკითხებისა, რომლებიც მონაწილე უნივერსიტეტებისა და ევროკომიის მხიდან ყურადღების გამახვილებას მითხოვს.

ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საყურადღებოდ:

- Erasmus + პროექტების შედეგად მიღებული ცოდნის, რესურსებისა და გამოცდილების სრულფასოვანი გამოყენება;
- ვირტუალური/შერეული სწავლების განხორციელებისას საპარტნიორი ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისი უზრუნველყოფა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება ვირტუალური/შერეული სწავლების განხორციელების პროცესში;
- თანამედროვე ვირტუალური სწავლების მეთოდების, უნარებისა და რესურსების ათვისების კუთხით აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების უზრუნველყოფა;
- Erasmus+ აპლიკაციის აქტიური გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში.

ევროკომისიისა და პროგრამის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საყურადღებოდ:

- ფიზიკური მობილობების გაფართოება და რაოდენობების გაზრდა, ამასთანავე ვირტუალური მობილობის კომპონენტის ალტერნატივის შენარჩუნება შერეული სწავლების პირობებში;
- დარჩენილი მობილობის ადგილების სრული ათვისებისა და უკვე შერჩეული ბენეფიციარების დაკმაყოფილების მიზნით პროექტების გაგრძელების შესაძლებლობის შეთავაზება;
- ვიზის მიღების პროცედურების გამარტივება;
- სტიპენდიების დროული გაცემა მობილური სტუდენტებისათვის;
- მობილური სტუდენტებისათვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევაში დახმარების გაწევა.